„ჩართულობისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფცია“

2010 წლის 3 ივლის საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული იქნა გრძელვადიანი, ახლებური მიდგომა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი, საქართველოს განუყოფელი ნაწილების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ და რომელიც საშუალებას მიცემს მათ ისარგებლონ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის არსებული სიკეთეებით.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმით საქართველოს ხელისუფლების მიზანია - გამყოფ ხაზებს მიღმა დარჩენილ მოსახლეობასთან დაახლოება, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების, იზოლაციის შემცირების, პიროვნების და რეგიონული უსაფრთხოების დაცვისთვის.

წარმოდგენილი **„ჩართულობისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფცია“** წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს პრაქტიკული გადაწყვეტილება მოვუნახოთ და განვახორციელოთ ჩართულობის ტრატეგიის სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანები.

კონცეფციის მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი, საქართველოს განუყოფელი ნაწილების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციას ქართულ სიცრცეში, ეკონომიკური კულტურული საგანმანათლებლო სამართლებრივი კუთხით მათ დაახლოებას და ჩართულობას საზოგადოებრივ პროცესებში.

1. პრობლემის არსი.

წლების განმავლობაში საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი, საქართველოს განუყოფელი ნაწილების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ, საქართველოს ხელისუფლების მიერ არ მომხდარა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რაც ხელს შეუწყობდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიმართ ნდობის აღდგენას და მათ დაახლოებას ქართულ სივრცესთან, აღნიშნული განპირობებული იყო, როგორც შიდა ასევე გარე პოლიტიკურ - ეკონომიკური ფაქტორებით.

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების, აფახაზეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებისა და ცხინვალის რეგიონთან თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გაცხადების შემდეგ, აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული პოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა.

როგორც ცნობილია აფახაეთისა და ცხინვალის რეგიონს არ გააჩნიათ დამოუკიდებელი რესურსი და საკუთარი ეკონომიკა, რაც მატერიალურად მთლიანად დამოკიდებულს ხდის მათ რუსეთის ფედერაციაზე.

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ შექმნას მექანიზმი და ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს და დაეხმარება გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული მოსახლეობის ინტენსიურ ურთიერთობებს, თანამშრომლობას, პარტნიორობას, როგორც საქართველოში მცხოვრებთა შორის, ასევე ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების მიმართ ნდობის აღდგენას.

2. პრობლემის გადაჭრის მექანიზმი

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი აქვ დათმობილი ეკონომიკურ ასპექტს, რომელიც მოიცავს ვაჭრობის, ერთობლივი წარმოების, კომუნიკაციის და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ერთობლივი წარმოება თავის მხრივ მოიცავს ერთობლივი წარმოების მხარდაჭერას, გამყოფ ხაზებს შორის მოქმედი ერთობლივი საწარმოებისათვის საწყისი კაპიტალის მოძიების ხელშეწყობას.

დღეს არსებული სიტუაციიდან გამონდინარე მიუხედავად კონფლიქტის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარებისა, ორივე მხარეს შორის არსებეობს კონტაქტები პროდუქციისა და სავაჭრო ცენტრების სიახლოვის გამო, კვლავაც არსებობს ვაჭრობა და გამყოფი ხაზების გადაკვეთის ფაქტები საყოფაცხოვრებო საჭიროებისა და მატერიალური დაინერესების გამო. პოლიტიკური ბერკეტების მიუხედავად მოსახლეობისათვის უფრო მიმზიდველი, მისაღები და მნიშვნელოვანია ეკონომიკური (ფინანსური) საკითხები, რომელიც საჭიროებს ყურადღების მიქცევას და რომელიც ჩართულობის სტრატეგიის პირობებში შეიძლება იქცეს ინტეგრაციის მნიშვნელოვან ბერკეტად.

დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით ეკონომიკური ფაქტორი ესაა ერთადერთი დამოუკიდებელი, ბუნებრივი და ყოვედღიურ საჭიროებებით განპიროებებული თვითწარმოქმნილი პირობა, რომელიც ტოვებს საშუალებას მასზედ დაყრდნობით განვავითაროთ ჩართულობის და ინტეგრაციის პოლიტიკა.

„ჩართულობისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფციის“ არსი ეფუძნება ერთობლივი, მატერიალური დაინტერესების ობიექტის ანუ საერთო ეკონომიკური ინტერესის გაჩენის იდეას.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შექმნას პროგრამა, (და ან ერთობლივი პროგრამა,საქართველოს ხელისუფლების, (წარმომადგენლების) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (წარმომადგენლების) დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით) რომელიც პირველ ეტაპზე საშუალებას მიცემს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში რეგისტრირებილ ფიზიკურ პირებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სივრცეში საქართველოს მოქალაქეებთან ერთად დააფუძნონ ერთობლივი საწარმოები ან აწარმოონ ვაჭრობა.

„ჩართულობისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფციის“ პროგრამის ფარგლებში შექმნილი საწარმოები ან სუბიექტები მთლიანად ან ნაწილობრივ, ან გარკვეული ვადით უნდა გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან.

მნიშვნელოვანია, რომ საწარმოების დაფუძნება მოხდეს ერთობლივად, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სუბიეტების თანაბარი მონაწილეობით. ერთობლივ საწარმოებში თანაბარი კვოტით დასაქმებული უნდა იყვნენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა და საქართველოს კონტროლირებად სივრცეში მცხოვრები, როგორც დევნილი ასევე მკვიდრი მოსახლეობა.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შექმნას მყარი სამართლებრივი გარანტი ასევე უნდა უზრუნველყოს პროექტში მონაწილე სუბიექტების ეკონომიკური და პიროვნული უსაფრთხოება.

აღნიშნული პროექტი საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ გარკვეული ფინასური სახსრები პროექტის განსახორციელებლად, შევქმნათ ერთობლივი დასაქმების და ფინასური სარგებლის მიღების ახალი წყარო, რაც პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ასევე საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, რათა მათ ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები,როგორიც საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას, ასევე ხელს შეუწყობს ურთიერთქმედებას გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის.

პროექტი ხელს შეუწყობს ვაჭრობის გაძლიერებას, კომუნიკაციის საშუალებების ჩამოყალიბებას და აღდგნას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექპორტს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, გამყოფ ხაზს იქით მცხოვრებ მოსახლეობას შეუქმნის პირობას დაცულ და უსაფრთხო გარემოში შექმნას და იქონიოს სამუშაო ადგილები, განავითაროს ბიზნესი, ისარგებლებს საქართველოს ბიზნეს-კავშირებით, დაზღვევით, საბანკო მომსახურეობისთ და სხვა სოციალური სერვისებით, ასევე იმ სპეციალური სავაჭრო რეჟიმებით რითაც სარგებლობს ან მომავალში ისარგებლებს საქართველო.

სამოქმედო გეგმის თანახმად შემუშავდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს მთავრობას განახორციელოს დასახული ინიციატივა.

აღნიშნული პროექტით საქართველოს ხელისუფლებამ საშუალება უნდა მიცეს მასში მონაწილე ყველა დაინტერესებულ სუბიექტს მოითხოვოს და ისარგებლოს ყველა ის სოციალური შეღავათი, რომელიც საქართველოს მოქალაქისათვის არის განსაზღვრული; ასევე აწარმოოს სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობა, დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში.

პროექტის მეორე ეტაპზე მნიშვნელოვანია მსგავი ტიპის საწარმოები ანალოგიური პირობით გაიხსნას გამყოფი ხაზის მეორე მხარეს.

3. მართვა და ადმინისტრირება

პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად, პროექტის მიმართ ნდობის გაჩენისა და მასში მონაწილე დაინტერესებული სუბიექტებისათვის ინიციატივის გაზრდის მიზნით, აუცილებელია შეიქმნება დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს **„ჩართულობისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფციის“** პროგრამის თითოეული ინსტრუმენტის გამართულად ფუნქციონირებას და მათ მიერ ერთობლივად შემუშავებული წესდების ან დებულების ფარგლებში მოახდენს მის ადნინისტრირებას.

აღნიშულ ფუნქციას განახორციელებს ნეიტრალური სტატუსის მქონე საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება საქართველოს ხელისუფლების, (წარმომადგენლების) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (წარმომადგენლების) დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ან მათ მიერ მიერ მოწვეული პირებისაგან. (ეს პირობა შეიძლება გადაიხედოს მთავარია სუბიექტებს ქონდეთ ნდობის მნდატი და იყვნენ ნეიტრალურები.)

ფინასები და რესურსები

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ასევე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე **„ჩართულობისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფციის“** პროგრამის ფარგლებში, პროექტში ჩართული სუბიექტებისათვის გრანტების გაცემის მიზნით

საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით შეიქმნება ფონდი, რომლის დაფინასების წყარო შეიძლება იყოს, როგორც საქართველოს ბიუჯეტი, ასევე პირადად მოზიდული სახსრები შემოწირულობები, დონორთა მიერ დაფინასებული პროექტებით მოზიდული თახები.

ფონდის მართვა განხორციელდება საკოორდინაციო საბჭოს მიერ, რომელიც ასევე შეითავსებს მრჩევლის ფუნქციებსაც. ფონდი გააიოლებს დონორთა და გრანტის მიმღებთა კოორდინაციას და უზრუნველყოფს, დაფინანსებული პროექტების წარმატებულობას.

სამართალი და დავების გადაწყვეტა

სამოქალაქო ურთიერთობებისას, პროექტში ჩართული სუბიექტებს მიეცემათ შესაძლებლობა როგორც საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით ხოლო დავები აწარმოონ არბიტრაჟის მეშვეობით, რომელიც შედგება დავაში მონაწილე სუბიექტების მიერ დანიშნული ნეიტრალური არბიტრებისაგან.

(კონცეფციის ყველა დეტალი პირობითია და საჭიროებს დამატებით დასაბუთებას და გაშლას)

გეგმის წარმატებისათვის აუცილებელია, ყველა დაინტერესებულმა მხარემ გამოხატოს მისდამი წყვეტი ინტერესი და მხარდაჭერა.

მიაჩნია, რომ ამ ღონისძიებათა წარმატებული განხორციელებით მიაღწევს გაყოფილი საზოგადოების ერიგებას და ნდობის გაძლიერებას, ხელს შეუწყობს ინტეგრაციის პროცესს და მოსახლეობის დაახლოებას.

კობა ბოჭორიშვილი

06.01.15